ნოდარ ჩხაიძე[1]
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
DOI: https://doi.org/10.52340/sou.2023.19.27

ახალი ცნობები ვარლამ ჩერქეზიშვილის 1906 წლის ვიზიტზე რუსეთის იმპერიაში

აბსტრაქტი. ვარლამ ჩერქეზიშვილის ვიზიტი რუსეთში 1906 წელს ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეულწილად ცნობილია. თუმცა დეტალების მთელ რიგს ჯერ კიდევ სჭირდება დაზუსტება. ნაშრომში „Daily Chicago News-ში“ გამოქვეყნებულ წერილებზე, საარქივო მასალებსა და სამეცნიერო ნაშრომებზე დაყრდნობით შევეცადეთ გამოგვევლინა ახალი ფაქტები ვარლამ ჩერქეზიშვილის 1906 წლის ვიზიტზე რუსეთის იმპერიაში. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ჩერქეზიშვილი თებერვლიდან რუსეთის იმპერიაში იმყოფებოდა და არა საქართველოში. სამშობლოს მხოლოდ გაზაფხულზე ეწვია, ზაფხულში კი მეუღლესთან ერთად სამოგზაუროდ გაემგზავრა (ამ ფაქტს მეუღლის - ფრიდას წერილებიდან ვაზუსტებთ. ეს წერილები ნაკლებადაა ცნობილი ქართული ისტორიოგრაფიისთვის). ამ მოგზაურობის მიზანი ჯერ ვერ გავარკვიეთ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ის ანარქისტულ წრეებს ეწვია. „საქართველოს დახმარების კომიტეტის“ შესახებ რამდენიმე ახალი ფაქტი გამოვლინდა. როგორც გაირკვა, ეს კომიტეტი 1921 წელს საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ აღდგა. შემდგომი დეტალების გარკვევა მომავალი კვლევის საგანია.

საკვანძო სიტყვები: ვარლამ ჩერქეზიშვილი, ახალი ცნობები, ვიზიტი, რუსეთი, 1906 წელი, ანარქისტული წრეები.

---

[1] **ნოდარ ჩხაიძე**, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

Nodar Chkhaidze[2]
Iv.Javakhishvili Tbilisi State University

New Facts about Varlam Cherkezishvilis Visit to Russian Empire in 1906

Abstract. The visit of Varlam Cherkezishvili to Russia in 1906 is known to Georgian historiography in some extent. Though whole range of details still need the clarification. In the paper we took an attempt to reveal new facts based on letters published in 'Daily Chicago News', archive materials and scholarly works. The investigation revealed that from February Cherkezishvili had been in Russian empire but not in Georgia. He only visited his home-land during the Spring and in Summer he went in a trip with his wife (we clarify this fact based on the letters of his wife – Frida. These letters are less known to Georgian historiography). We could not find out yet the purpose of this trip but we think that he visited Anarchist circles. The several new facts have been revealed about the 'Georgian Relief Comittet ''. As it has been revealed this committee was restored after Bolshevik occupation of Georgia in 1921. The clarification of further details is the subject of future investigation.

Key words: Varlam Cherkezishvili, new information, visit, Russia 1906, anarchist circles.

ძირითადი კვლევა. ვარლამ ჩერქეზიშვილი მსოფლიო ანარქისტულ წრეებში ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო. მისი ნაშრომი „ფურცლები სოციალიზმის ისტორიიდან", მსოფლიოს არაერთ ენაზე ითარგმნა. ჩერქეზიშვილთან ურთიერთობდნენ პოლიტიკოსები და ჟურნალისტები მრავალი ქვეყნიდან.

ქართველი ანარქისტის მოღვაწეობასთან დაკავშირებული საარქივო მასალა, პუბლიცისტური მემკვიდრეობა და მემუარული ლიტერატურა არაერთ ქვეყანაშია გაფანტული, რაც მისი ბიოგრაფიული ფაქტების დადგენას ართულებს. ჩვენ მისი მოღვაწეობიდან ამჯერად მხოლოდ 1906 წელს განვიხილავთ.

ნაშრომში ვეყრდნობით ჩიკაგო დეილი ნიუსში გამოქვეყნებულ მის წერილებს, მისი მეუღლის პირად მიმოწერას, აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურას. ჩერქეზიშვილი 1906 წელს ამერიკულ გაზეთ „ჩიკაგო დეილი ნიუსში" წერილებს აქვეყენებდა. ეს მასალა, ერთი მხრივ, გვაჩვენებს მის ადგილსამყოფელს, რადგან მიწერილი აქვს გაგზავნის ადგილები და თარიღები, მეორე მხრივ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, იგი ჩერქეზიშვილის ანტიცარისტული და პატრიოტული მოღვაწეობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთია.

---

[2] **Nodar Chkhaidze** - Phd student of Iv.Javakhishvili Tbilisi State University.

1906 წელს ჩერქეზიშვილის საქართველოში ჩამოსვლასა და საქმიანობას ქართული ისტორიოგრაფია გარკვეულწილად იცნობს. მიუხედავად ამისა, რიგი საკითხები ჯერ კიდევ დასაზუსტებელია.

მკვლევარმა ჯეიმს სტარტმა, რომელიც ამერიკელი ჟურნალისტის ედვარდ პრაისბელის ცხოვრების შესახებ მონოგრაფიის ავტორია, ყურადღება მიაქცია მისი და ვარლამ ჩერქეზიშვილის ურთიერთობის საკითხებს (Startt, 1987: 142-150). ედვარდ პრაის ბელი – ამერიკელი ჟურნალისტი, 22 წლის განმავლობაში ლონდონში ცხოვრობდა. იგი ხელმძღვანელობდა „ჩიკაგო დეილი ნიუსის“ საზღვაგარეთულ ბიუროს. ნიუ-იორკ ტრიბუნისა და ნიუ-იორკ ჰერალდის საზღვარგარეთული ბიუროები უფრო ადრე იყო ჩამოყალიბებული ვიდრე ჩიკაგო დეილი ნიუსის, სამაგიეროდ მათი წარმატებები ეპიზოდური იყო, მაშინ, როდესაც დეილი ნიუსის საზღვარგარეთული სამსახური მუდმივად ძლიერი იყო (Hamilton, 2009: 157).

როგორც ჯონ მაქსველ ჰამილტონი წერს გაზეთის რედაქტორის ლოუსონის აზრით აქცენტი მეტად უნდა გაკეთებულიყო ანალიზზე და ნაკლებად უნდა მიექციათ ყურადღება რუტინისათვის. (Hamilton, 2009: 157).

იგი ეყრდნობოდა საზღვარგარეთულ ბიუროში მომუშავე ჟურნალისტების ექსპერტულ ცოდნას. ედვარდ პრაის ბელი[3] წერდა, რომ მათი ჟურნალისტები იყვნენ ინტელექტუალები და სარგებლობდნენ პირადი რეპუტაციით (Hamilton, 2009: 157). ჯეიმს სტარტი თავის სტატიაში მოგვით-

[3] მეცხრამეტე საუკუნის და მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ამერიკულ პრესაში ქართველების შესახებ მასალები არაერთმა მეცნიერმა მოიძია, თუმცა, ამ მასალის სისტემატიზირება, ახალგაზრდა მკვლევარმა პავლე ჯაგუნავამ დაიწყო. ამას მიეძღვნა მისი საბაკალავრო ნაშრომი „საქართველო და ქართველები XX საუკუნის დასაწყისის ამერიკული პრესის მიხედვით (1898-1910 წ.წ.)“ და სამაგისტრო ნაშრომი „საქართველო და ქართველები ამერიკული პრესის მიხედვით (1918-1921 წწ.)“. მანვე თარგმნა 1919 წელს ივნინგ სტარში გამოქვეყნებული წერილი, რომლის ავტორიც ედვარდ პრაის ბელია. ამ წერილში პრაის ბელი ახსენებს, რომ შეხვდა ირაკლი წერეთელს და ისაუბრეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ. ეს ჩვენთვის უცნობი ფაქტი იყო. ერთადერთი ქართველი, რომელთანაც მისი რაიმე კონტაქტის შესახებ აქამდე ინფორმაცია გვქონდა ვარლამ ჩერქეზიშვილი იყო. იხ: ჯაგუნავა პავლიკა, „საქართველო და ქართველები ამერიკული პრესის მიხედვით (1918-1921 წწ.)“, მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებული ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2018 წელი, გვ. 62-64.

ხრობს: ედვარდ პრაის ბელი თავის მეგობარ ჩარლზ ჰენრი დენისს დაჟინებით სთხოვდა, რომ პეტერბურგში მუდმივი კორესპონდენტი მიევლინათ (Startt, 1987: 143).

საჭირო იყო ისეთი კაცი, რომელსაც რევოლუციონერებისგან შეეძლო ინფორმაციის გაგება. ამ მხრივ ვარლამ ჩერქეზიშვილის პეტერბურგში მივლინება სრულიად გასაგებია: 1) იგი ითვლებოდა რუსეთის საკითხების კარგ მცოდნედ, 2) პრესაში მუშაობის კარგი გამოცდილება ჰქონდა, 3) მისი კავშირი რევოლუციიონერებთან საყოველთაოდ იყო ცნობილი.

როგორც ჯონ მაქსველ ჰამილტონი თავის მონოგრაფიაში ამბობს: ლოუსონს კორესპონდენტები ესპანეთ-ამერიკის ომამდეც ჰყავდა გაშვებული - ლათინურ ამერიკაში, შვედეთში, ახალ ზელანდიაში, ავსტრალიაში (Hamilton, 2009: 157). ხოლო ესპანეთ-ამერიკის კონფლიქტის პერიოდში 40 კორესპონდენტი ჰყავდა ფილიპინებიდან კუბამდე (Hamilton, 2009: 160). 1901 წელს, ანუ მას შემდეგ, რაც ,,რეკორდის" უცხოური სააგენტო დეილი ნიუსად გადაკეთდა. ლოუსონს სურდა, რომ ნიუსები რაც შეიძლებოდა სწრაფად და მოკლე დროში ყოფილიყო გადმოცემული სხვადასხვა ქვეყნიდან.

პრაის ბელიმ დაიქირავა თანამშრომლები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში სამუშაოდ (Startt, 1979: 26). იგი ინსტრუქციას აძლევდა ახალ პერსონალს, აგრეთვე იღებდა, ასწორებდა და აგზავნიდა მსოფლიოს სხვადასხვა სადგურიდან მოსულ გზავნილებს, მათ შორის: ევროპიდან, აზიიდან და აფრიკიდან (Startt, 1979: 26).

ამერიკული პრესის საარქივო მასალის მიხედვით ვიგებთ, რომ ჩერქეზიშვილმა ჩიკაგო დეილი ნიუსში პირველი წერილი 1902 წელს გამოაქვეყნა. წერილს წინ უძღვის, რომ დაიწერა პეტერბურგში 5 იანვარს, თუმცა გამოქვეყნებულია 23 იანვარს. ამ პერიოდში ჩერქეზიშვილი ჯერ კიდევ ძებნილი იყო რუსეთის ხელისუფლების მიერ, აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვები: რა ხნის განმავლობაში იმყოფებოდა იგი რუსეთში და როდის დაბრუნდა ინგლისში? რატომ გამოაქვეყნა ჩერქეზიშვილმა ერთადერთი წერილი 1902 წელს? ვარლამ ჩერქეზიშვილის ცხოვრების მკვლევარმა დიმიტრი შველიძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ამ ვიზიტის შესაძლებლობას ნაკლებად სავარაუდოდ მიიჩნევს. ჯერჯერობით დეილი ნიუსის რუსულ ბიუროსთან დაკავშირებით დამატებით ვერანაირ ცნობას ვერ მივაკვლიეთ და 1902 წელს მის პეტერბურგში ყოფნას ამ ცნობის გარდა, ვერაფრით ვადასტურებთ.

თუკი იგი მართლაც იმყოფებოდა პეტერბურგში, საფიქრებელია, რომ ეს პირველი მივლინება, საკმაოდ მცირე ხნიანი უნდა ყოფილიყო. აგრეთვე, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, იგი ამ წელს სამშობლოში არ ჩამოსულა. 1904 წელს ჩერქეზიშვილმა პრაის ბელის თავის ავტობიოგრაფიაში მოუყვა: რომ საქართველოში ოთხჯერ იყო ჩუმად ჩამოსული (Startt, 1987: 145). ბოლო ვიზიტის თარიღად 1896 წელი აქვს მითითებული.

საინტერესოა, რომ 1902 წელს გამოსული მისი პირველივე სტატია ანტიცარისტული პათოსით იყო სავსე. სტატიას სათაურად აწერია: დესპოტიზმი რუსეთში. გლეხობის დაკარგული უფლებები. პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთში ახლა უარესადაა, ვიდრე საუკუნის დასაწყისში. საუბარია თვიმმართველობის რეფორმაზე რუსეთში და მის სიკეეთებზე, თუმცა, ჩერქეზიშვილი წერს, რომ ბიუროკრატიისა და საპოლიციო რეჟიმის გამო, გლეხების უფლებები ძალიან შეზღუდულია (Chicago Daily News,1902.23.1, 3).

1905 წლის ჩათვლით ჩიკაგო დეილი ნიუსში დაწერილ სხვა არცერთ წერილს მისი გვარი არ აწერია. შესაძლოა იგი ხელისმოწერის გარეშე წერდა ნიუსებს.

1905 წელს რუსეთის იმპერიაში რევოლუცია დაიწყო. ცნობილი სოციალ-დემოკრატი მოღვაწის ისიდორე რამიშვილის მოგონებებში ვკითხულობთ: ,,იაპონიასთან ომმა და მანჯურიის ველებზე რუსეთის ჯარების დამარცხებამ დიდად შეუწყო ხელი რევოლუციონური ცეცხლის გაჩაღებას მთელს რუსეთში. სიხარულით ხვდებოდნენ ყოველგან დამარცხების ცნობებს“. „ამ წლის დასაწყისშივე მოხდა დიდმნიშვნელოვანი ამბავი, რომელმაც ცეცხლი მოუკიდა დაგროვილ ხმელ მასალას: 9 იანვარს პეტერბურგში სასახლის წინ დაიღვარა დიდძალი უმანკო სისხლი მუშებისა, რომელთაც კიდევ ჯეროდათ მეფის გულკეთილობა“.

„დიდი სისწრაფით გაიზარდა რევოლიუციური მოძრაობა, გაიზარდნენ რევოლიუციონური პარტიები. ყოველი მხრიდან სცემდნენ ერთ წერტილში, სცემდნენ ძველ წყობილებას, რომელიც ზანზარებდა და ირყეოდა. რამდენსაცისზანზარებდა, კრიზისს განიცდიდა და ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდა, იმდენად მძაფრი და დაუნდობელი ხდებოდა იგი, არ ზოგავდა ტყვია-წამალს და სახრჩობელებს რევოლუციის ჩასაქრობლად, მაგრამ სასტიკმა რეპრესიები რევოლუცია ვერ დააფრთხო, ვერ შეაჩერა. პირიქით, გააძლიერა და გააფართოვა იგი“ (რამიშვილი, 2012: 307).

მხატვარი კარაპეტ გრიგორიანცი იხსენებდა: როდესაც რუსეთი დამარცხდა და იაპონია ლამის მოსკოვში შემოდიოდა, საქართველოში რევოლუციის ნიშნები გაჩნდა: ხალხი ქუჩა-ქუჩა წითელი დროშებით დადიოდადა „ძირს ნიკალაი“ ყვიროდა. ცარცვა, გლეჯა, მდიდრების დახოცვა, ბარათების მიწერა და ფულის თხოვნა ისე გახშირებული იყო, რომ სახლიდან გასულ ადამიანს სახლში დაბრუნების იმედი არ ჰქონდა“ (მახარაძე, ხეცურიანი 2012: 66).

კატასტროფული მდგომარეობის გამოსასწორებლად მეფე ნიკოლოზ მეორემ 17 ოქტომბერს ხელი მოაწერა მანიფესტს ,,სახელმწიფოებრივი წესრიგის სრულყოფის შესახებ“ ამ დოკუმენტის თანახმად, რომელიც წერტილს უსვამდა აბსოლუტურ მონარქიას: ხალხს ენიჭებოდა, სამოქალაქო თავისუფლების ძირითადი გარანტიები (მახარაძე, ხეცურიანი 2012: 66).

რუსეთის პრესაში გამოქვეყნდა ნიკოლოზ მეორის მიერ ხელმოწერილი ბრძანება ამნისტიის შესახებ – ,,განთავისუფლდეს დევნისგან, სასამართლოსგან და სხვა მსგავსი ზომებისაგან და ყველა შეწყალებული იქნას, ვისაც 1905 წლის 17 ოქტომბრამდე ჩადენილი აქვს, დანაშაულებრივი ქმედება ძალმომრეობის გარდა“ (შველიძე 2001 : 229).

ამ მანიფესტთან დაკავშირებით 1905 წელს ,,ჩიკაგო დეილი ნიუსში“ გვხვდება ცნობა, რომლის მიხედვითაც რუსეთის იმპერიაში დაბრუნების უფლება მიეცათ ხელისუფლებისგან დევნილ პირებს. ჩამოთვლილია პეტრე კროპოტკინი, ჩერქეზოვი (საუბარია ვარლამ ჩერქეზიშვილზე – ნ. ჩ.), „თავისუფალი რუსეთის“ რედაქტორი სოსკისი (გვარი შეცდომით წერია – სოკისი – ნ. ჩ.), ტეპლოვი, ბულგარეთის ფლოტის ყოფილი მეთაური სერებრიაკოვი (მისი გვარი შეცდომით წერია – სემაბრიკოვი – ნ. ჩ.), ჩაიკოვსკი, გაზეთში წერია, რომ მათ უერთდებიან ამხანაგები: ბელგიიდან, ჰოლანდიიდან, საფრანგეთიდან, გაზეთი დასძენდა რომ ჩერქეზოვი, კროპოტკინი და სხვები ერთ-ერთ ცნობილ ოჯახში შეიკრიბნენ (არ არის დაზუსტებული რომელ ოჯახში – ნ. ჩ.) და აღნიშნავდნენ ამ თავისუფლების ტრიუმფს (Chicago Daily News, 1905.1.11: 2).

ამ ამნისტიასთან დაკავშირებით თბილისში, 18 ოქტომბერს უზარმაზარი მიტინგი გაიმართა, სხვათაშორის, საყოველთაო ზეიმს ანარქისტებიც შეუერთდნენ და სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელებთან ერთად ამ მიტინგზე სიტყვითაც გამოვიდნენ (ჩახვაშვილი, 1955: 220). ამას ხაზს ვუსვამთ, რადგანაც 1905 წლის ამნისტიამ ანარქისტებს საშუალება მისცათ

კანონიერად ემოღვაწათ. ლეგალურად გამოსულ ანარქისტულ გამოცემა „ნობათში“ ვარლამ ჩერქეზიშვილი ამ პერიოდში წერილებს აქვეყნებდა.

დიმიტრი შველიძე წერს, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილი 1905 წლის ბოლოს თუ 1906 წლის დასაწყისში დაბრუნდა სამშობლოში (შველიძე, 2001: 229). ჩიკაგო დეილი ნიუსიდან ვიგებთ, რომ იანვრის თვეში იგი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, მაგრამ არა საქართველოში. წერილს, რომელიც 22 თებერვალს გამოქვეყნდა ჩიკაგო დეილი ნიუსში და პეტერბურგიდანაა გაგზავნილი, დაწერის თარიღად 25 იანვარი უწერია (Chicago Daily News,1906. 2.02: 15). აპრილამდე იგი საგაზეთო წერილებს მოსკოვიდან და პეტერბურგიდან აგზავნიდა. 1 აპრილით დათარიღებულ მის საგაზეთო წერილს კი უკვე თბილისი აწერია (Chicago Daily News,1906.-8.05:15). მისი ამ მარშუტის გადასამოწმებლად სხვა წყაროც გვაქვს, ცნობილი ფაქტია, რომ ქრისტიან კორნელისენი ვარლამ ჩერქეზიშვილის ცოლის ნათესავი იყო.

ვარლამ ჩერქეზიშვილის ცოლის და ლილი რუპერტუსი ჰოლანდიელი ანარქისტის მეუღლე იყო. წლების განმავლობაში ამ ოჯახებს მიმოწერა ჰქონდათ: 1906 წლის 25 თებერვალს ფრიდამ წერილი თავის დას მოსკოვიდან გაუგზავნა. ხოლო 27 მარტით დათარიღებულ წერილში ფრიდა თავის დას წერდა, რომ კავკასიაში იმყოფებიან (ბალაჯვარში? ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ ზუსტად რა ადგილს გულისხმობდა – ნ. ჩ.), მატარებელს ელოდებიან და რომ მალე თბილისში იქნებიან (Cornelissen, 1993: 54). ჩერქეზიშვილი 1 აპრილს დაწერილ წერილში წერდა იმპერიაში არსებულ გაუსაძლის მდგომარეობაზე. ყვებოდა რუსეთის ქალაქებზე, რომელიც მან იხილა, ჩამოთვლილი აქვს: რიაზანი, ტამბოვი, პენზა, ვორონეჟი, როსტოვი.

დიდი ხნის შემდეგ, ქართველი ანარქისტი სამშობლოში ლეგალურად დაბრუნდა, როგორც ჯეიმს სტარტი წერს, ჩერქეზიშვილი ინგლისში დაბრუნებას აღარ ფიქრობდა (Startt, 1987: 147). თუმცა, მისი იმედები არ გამართლდა, რადგან, ცარისტულმა რეჟიმმა რეპრესიები დაიწყო. დამსჯელი რაზმები გაიგზავნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. იაკობ გოგებაშვილის წერილში ვკითხულობთ: მთელი დასავლეთ საქართველო მოიცვა აუარებელმა უბედურებამ, ის რაც იწერება იმერთა დაწიოკების შესახებ, უნდა ათჯერ ამრავლოთ, ათჯერ აიღოთ, რათა საშინელ სინამდვილეს მიუახლოვდეთ. ანანოვის მამულში ყაზახებს ნამუსი აუხდიათ იქაური სო-

ფლის თითქმის ყველა ქალებისათვის, რომელთა შორის ერივნენ თერ-თმეტ-თორმეტი წლის ნორჩი გოგოებიც“ (გოგებაშვილი, 1989: 84). იგი აგ-რეთვე წერდა: ქართლის გლეხობას უფრო შავი დღე ადგია, ვიდრე გურუ-ლებს, ეს გლეხობაც მტკიცედ და ენერგიულად შეუდგა განმათავისუფ-ლებელ მოძრაობას, მაგრამ სასტიკად დაისაჯა. მრავალ სოფელში ჩაუყენეს ყაზახების ეგზეკუცია,რომელმაც სოფელს გაუჩანაგა შინაური ფრინველი, საქონელი, პური, ღვინო, ხილი და ვალიც ბევრი ააღებინა, ახლო მომავა-ლში ქართლს შიმშილი ელის აუცილებლად (გოგებაშვილი, 1989: 80).

ვარლამ ჩერქეზიშვილმა მიზნად დაისახა, რომ საქართველოში მიმდი-ნარე ამბები მთელ მსოფლიოში გაევრცელებინა. იგი წერდა: საყოველთაო სურვილი იყო გამოქვეყნებულიყო და განათლებულ კაცობრიობას დაენახა საზიზღარი ფაქტები ქალაქების და სოფლების გადაწვისა, მცხოვრებლების აწიოკება-ამოწყვეტისა და დედაკაცების გაუპატიურებისა. მეც ემიგრაციი-დან ახალდაბრუნებულმა ჩემს მოვალეობად ჩავთვალე ამ საზოგადოებ-რივი მისწრაფებისთვის ხელი შემეწყო. მან ერთი მხრივ აქტიურად გამოი-ყენა თავისი საერთაშორისო კონტაქტები.

ვარლამ ჩერქეზიშვილისა და მისი მეგობრების დამსახურებით, (მაგა-ლითად ინგლისელი ჟურნალისტის ჰენრი ნევინსონის[4]) შეიქმნა ქართ-ველთა დამხმარე კომიტეტი.

ქართული ისტორიოგრაფია კარგად იცნობს 1907 წელს ჰააგის კონფე-რენციაზე წარდგენილ ქართველების პეტიციას, სადაც საუბარი იყო, რუსე-თის მხრიდან საქართველოს დარღვეულ უფლებებზე. ცნობილია, რომ ამ პეტიციის ტექსტი, ჩიკაგო დეილი ნიუსში ვარლამ ჩერქეზიშვილს პრაის ბელიმ დაუბეჭდა. ჩერქეზიშვილი აგრეთვე ამბობს, რომ თავის მეუღლეს-

[4]ქართულ ისტორიოგრაფიაში ნევინსონის და დრაიჰორსტის ჩამოსვლას პირ-ველად ე. ნინოშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი მ. ვადაჭკორია შეეხო. იხ: ინგლისელი მწერალი გურიაში (იხ: გაზეთი „კომუნისტური შრომა“) 1976 წელი. 13 იანვარი.. დრაიჰორსტისა და ნევინსონის ვიზიტის შესახებ ვრცელი ანალიზი უწერია: დ. შველიძეს თავის ცნობილ მონოგრაფიაში: დიმიტრი შველიძე, აი, ვინ იყო ქართველნო, ვარლამ ჩერქეზიშვილი.. გვ. 234-244. საქართველოში ვიზიტის შესახებ წერილი ჟურნალში: „Harper Magazine“ წერილი გამოაქვეყნა ჰენრი ნევინ-სონმა. ეს წერილი თარგმნა, კომენტარები დაურთო და ქართულ ისტორიოგ-რაფიაში შემოიტანა გია გელაშვილმა. იხ: ახალი და უახლესი ისტორიის საკით-ხები, ტომი მეორე, თბილისი, 2008 წელი.

თან ერთად ჩიკაგო დეილი ნიუსში წერილებს აგზავნიდა. 1906 წელს ჩიკაგო დეილი ნიუსში დაბეჭდილ არცერთ წერილს მისი მეუღლის სახელი არ აწერია. მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ ფრიდა მას ეხმარებოდა. 1906 წლის მაისში ფრიდა თავის დას ლილის წერდა: არ ინერვიულო, ფრთხილად ვართ. მათ (როგორც ჩანს ხელისუფლებას – ნ. ჩ.) მისი (სავარაუდოდ ვარლამის – ნ. ჩ.) გასამართლება არ სურთ. ეს მეტისმეტი სიგიჟე იქნება მათთვის. არ მოატყუებინო გაზეთის ცნობებს თავი. ის ყოველთვის იმაზე უარესად აჩვენებს მდგომარეობას, ვიდრე სინამდვილეშია. ჩვენ ყველა წრეში მეგობრები გვყავს. ამის გარდა, ქალაქი დიდია და ჩვენ კარგ სასტუმროში ვცხოვრობთ (Cornelissen,1993: 54-55).

ბუნებრივია, რომ ისინი აბსოლუტურად უსაფრთხოდ ვერ იქნებოდნენ, ამის მიუხედავად, 1906 წელს ცარიზმის ძველისძველმა მოწინააღმდეგემ მორიგი საინფორმაციო ომი წამოიწყო ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენ ზემოთ ვახსენეთ, რომ ჩერქეზიშვილს ჩიკაგო დეილი ნიუსში მუშაობამდე ჟურნალისტური საქმიანობის კარგი გამოცდილება ჰქონდა დაგროვილი. შედარებისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ, რომ 1878 წელს ჩერქეზიშვილი რუსეთის იმპერიაში მიმდინარე მოვლენებს განიხილავდა, ანარქისტულ ჟურნალ „ობშჩინაში“ (შველიძე, 2001: 69). დ. შველიძე წერს, რომ ამ რუსულენოვან ჟურნალში ჩერქეზიშვილის წერილების სტილი, ცეცხლოვანი, სარკასტული და რუსული მონარქიისადმი ზიზღითა იყო გამსჭვალული (შველიძე, 2001: 72).

ამ შემთხვევაშიც ზუსტად იგივე შეგვიძლია ვთქვათ.

დიდი საერთაშორისო ინტერესის გამო, თბილისსა და ზოგადად რუსეთის იმპერიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ბუნებრივია, სხვა კორესპონდენტები და სხვა გაზეთებიც წერდნენ.

პ. ჯაგუნავა თავის საბაკალავრო ნაშრომში მოგვითხრობს იმ წერილების შესახებ, რომელიც 1905-1907 წლების თბილისში მიმდინარე შეტაკებებზე და ტერორისტულ აქტებზე იწერებოდა ამერიკულ პრესაში (ჯაგუნავა, 2016: 31-32). ჩერქეზიშვილი ამ მხრივ გამორჩეული იყო. მის მიერ დაწერილი ყველა წერილი ეხებოდა თუ არა უშუალოდ საქართველოს, ცარიზმის პოლიტიკის მხილება იყო. განსაკუთრებით მძაფრად კი იგი საქართველოში მიმდინარე ამბებზე მოუთხრობდა ამერიკელ მკითხველს. 1906 წელს იგი უწყვეტად აგზავნიდა წერილებს ამერიკულ გაზეთში დასაბეჭდად. უნდა ითქვას, რომ წერილების ერთი ნაწილი უშუალოდ საქართველოს

ეხებოდა, ხოლო უფრო დიდი ნაწილი, ზოგადად რუსეთის იმპერიაში არსებულ სხვადასხვა პრობლემაზე მოუთხრობდა ამერიკელ მკითხველებს. საქართველოს შესახებ დაწერილ წერილებში იგი ახასიათებდა საქართველოს, ამერიკელ მკითხველებს უყვებოდა, ვინ არიან ქართველები და, ცხადია, ხაზს უსვამდა ცარიზმის ნამოქმედარს. იგი წერდა: სიტუაცია საქართველოში იმგვარია, ყველაზე მომთმენ მღვდლებსაც კი შეუძლიათ მწარე ჩივილისთვის მიზეზი იპოვონ. მას მოყავს სტაროსელკის წერილი, სადაც იგი წერს: არაერთი სოფელი დამწვარია ან განადგურებულია სამხედრო წესების მმართველებისგან. ყველგან ჩხრეკა მიმდინარეობს. ქალაქები სამხედრო ბანაკებითაა გარშემორტყმული. მე ვამტკიცებ, რომ მას შემდეგ, რაც მთავრობამ ქვეყნის ხელახალი დაპყრობა გამოაცხადა, გურიას და მეზობელ სამ რაიონს მთავრობამ ღიად გაუხსნა ცეცხლი. იგივე ხდება თბილისში, სადაც ორი აყვავებული სოფელი: ლამისყანა და ქარელი არტილერიით არის განადგურებული. ქუთაისს ცეცხლი სამჯერ გაუხსნეს, სახლები და მაღაზიები, რაც ცეცხლმა დაზოგა, გარნიზონმა და კაზაკებმა გაძარცვეს. პანიკაში ჩავარდნილი მოსახლეობა ქალაქიდან გაიქცა. კაზაკები ესვრიან ვისაც უნდათ.

ამ ყველაფრის მიუხედავად რევოლუციონერების სული არ გატეხილა. ერთი მხრივ ის აღდგა.. იმ აზრით, რომ ამ უკანონო პირობებში, მშვიდობიანი თანაარსებობა შეუძლებელია. ჩერქეზიშვილი დასძენდა: სტაროსელსკი არც რევოლუციონერია, არც რადიკალი, მაგრამ პატიოსანი გუბერნატორია, ვინც ცდილობს მოსახლეობა დაამშვიდოსო (Chicago Daily News , 1906.6. 04: 16).

სხვა წერილში ჩერქეზიშვილი ამერიკელ მკითხველებს მოუთხრობდა თბილისში მოწყობილ მთავრობის მიერ დაგეგმილ ხოცვაზე. აგრეთვე წერდა, თუ როგორ განადგურდა: ხონი, ოზურგეთი, როგორ გაუხსნეს ქუთაისს ცეცხლი, დაწვეს ყვირილა და დარკვეთი. წერილს თან ახლდა განადგურებული ყვირილას (საუბარია ზესტაფონზე – ნ. ჩ.) სურათი (Chicago Daily News , 1906.10. 05: 17).

იგი ყვებოდა, რომ ამიერკავკასიის დედაქალაქში სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს: აქ ერთად შეგიძლიათ იხილოთ სომხური, ქართული, რუსული ეკლესია, რომელთან ერთადაც არის თურქული და სპარსული მეჩეთი და სინაგოგა. შემდეგ იგი რამდენიმე სიტყვით ახსენებს, თბილისის ბაზარს, კინტოებს. წერს კახურ ღვინოზე პოპულარულ სპარსულ რესტორნებზე: ქალაქის აღმოსავლურ ნაწილში იგი ჩამოთვლის: აქლემებს,

ცხენებს. ჩერქეზიშვილი წერს, რომ თბილისში სხვადასხვა ეროვნების ხალხი მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. თუმცა, სომეხ-თათართა და თურქ-სომეხთა ხოცვა-ჟლეტის შემდეგ მშვიდობა დიდი ხნით დასრულდა. თათრები, სომხები და ქართველები, ისედაც არ ემეგობრებოდნენ რუსებს, ხოლო თათრები და სომხები ცეცხლი და წყალივით არიან ერთმანეთთანო (Chicago Daily News,1906. 17. 05: 14).

ეს წერილები, რომელიც უშუალოდ საქართველოს ეხება, ძირითადად გაზაფხულის პერიოდშია დაწერილი. ზაფხულში ვარლამმა და მისმა მეუღლემ რუსეთის იმპერიაში მოგზაურობა გადაწყვიტეს. ფრიდა ჩერქეზიშვილი თავის დას 18 ივნისს წერდა: ოთხშაბათს მივდივართ: თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ოდესის (ზღვით) კიევის, სარატოვის, ვოლგის, ურალის, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის სანახავად (Cornelissen, 1993: 55). როგორც შემდეგ ვნახავთ, ისინი მართლაც წავიდნენ რამდენიმე თვით საქართველოდან. იყო თუ არა ამ მოგზაურობის მიზანი მხოლოდ დასვენება, თუ რაიმე სხვა მიზანსაც ისახავდა, ჩვენ ეს არ ვიცით. სანამ უფრო ზუსტი ინფორმაცია გვექნება, ჯერჯერობით ვარაუდის გამოთქმა მოგვიწევს.

როგორც ცნობილია, 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში ანარქისტული ჯგუფები მთელი რუსეთის იმპერიაში ჩამოყალიბდა.

რუსეთის პოლიტიკურ ენციკლოპედიაში ვკითხულობთ: რუსული ანარქიზმის პროპაგანდისტებმა, ანარქისტული მოძრაობის სამი მსხვილი ცენტრი ჩამოაყალიბეს: ბელოსტოკი, ეკატერინოსლავი და ოდესა. ნაკლებად ძლიერი ცენტრები იყო: ჟიტომირი-კამენეც-პოდოლსკი-კიევი და ნიჟნი-ნოვგოროდი-სარატოვი-პენზა (Кривенький, 2000). ზოგი ადგილი იმ მარშრუტს ემთხვევა, სადაც ჩერქეზიშვილი იმყოფებოდა ან ჯერჯერობით ვიცით, რომ წასვლას აპირებდა. შესაძლებელია რამდენიმე თვის განმავლობაში, ქართველი ანარქისტი ამ ცენტრების წარმომადგენლებს ხვდებოდა. ასევე იკვეთება, რომ ჩერქეზიშვილი ამ შეხვედრებთან დაკავშირებით ანარქისტების ლიდერთან და თავის უახლოეს მეგობართან პეტრე კროპოტკინთან კონსულტაციას არ გადიოდა.

1905 წელს მიღებული ამნისტიის მიუხედავად, ანარქისტების ლიდერი პეტრე კროპოტკინი რუსეთის იმპერიაში არ ჩამოსულა.

დიმიტრი შველიძე წერს: ემიგრაციაში ცხოვრებამ, იგი თეორიული ნაშრომების წერას მიაჩვია და როგორც პრაქტიკოსმა რევოლუციონერმა მან არსებობა დაამთავრა. დიდი ალბათობით, წასვლამდე კროპოტკინს ქართ-

ველი ანარქისტის გეგმების შესახებ ინფორმაცია ექნებოდა. მაგრამ როგორც ჩანს, ჩერქეზიშვილმა რუსეთის იმპერიაში ჩამოსვლის პერიოდიდან მასთან მიმოწერა შეწყვიტა. ჩერქეზოვი პეტერბურგშია, მაგრამ რას აკეთებს იგი, ვის ხვდება იგი, არ ვიცი. არცერთი საქმიანი წერილი მისგან არ მიმიღია (შველიძე, 2019: 350). არც ზუსტი მარშუტის დადგენა ხერხდება, როდის სად იმყოფებოდნენ. მაგრამ მიმოწერის საშუალებით ზოგი რამის გაგება შეგვიძლია: 27 ივნისს, ისინი ვოლგაზე იმყოფებოდნენ. 20 ივლისს სარატოვიდან გასვლას და სამარაში წასვლას გეგმავდნენ, თუმცა ,,ჩიკაგო დეილი ნიუსში გამოქვეყნებული წერილიდან ვიგებთ, რომ 23 ივლისს ისინი კვლავ სარატოვში იყვნენ. აგვისტოს, სექტემბერისა და ოქტომბრის თვეებზე არაფერი ვიცით. 4 ნოემბერს ფრიდამ თავის დას წერილი ნიჟნი ნოვგოროდიდან მიწერა. წერილის მიხედვით, 13 ნოემბერს ისინი ყირიმიდან მოდიოდნენ. ხოლო 20 ნოემბრის წერილში იწერებოდა: რომ ჩამოვიდნენ მოგზაურობიდან, რომელიც მშვენიერი იყო (Cornelissen,1993: 54-56). ჩერქეზიშვილი ამ მოგზაურობის განმავლობაში ჩიკაგო დეილი ნიუსში აქტიურად აშუქებდა: განათლების პრობლემებს, ხელისუფლებისგან მოწყობილ რეპრესიებს, გლეხობის მძიმე მდგომარეობას რუსეთის ქალაქებში და სხვა. მაგალითად, 11 ივლისის წერილში ყვებოდა სარატოველი გლეხების გაჭირვებაზე, რომ მათ მიწა არ აქვთ, შიმშილობენ და ასე შემდეგ.

ნოემბერში თბილისში ჩამოსულ ჩერქეზიშვილებს სტუმრად ნანი დრაიჰორსტი ეწვიათ, ხოლო უკვე საქართველოში იმყოფებოდა ცნობილი ბრიტანელი ჟურნალისტი ჰენრი ნევინსონი. იგი ნოემბრის დასაწყისში უკვე საქართველოში იყო. გურამ შარაძეს გამოქვეყნებული აქვს ოლღა გურამიშვილის წერილი მარჯორი უორდროპისადმი, სადაც იგი წერს, რომ მათ ოჯახში სტუმრად ნევინსონი იყო მისული (შარაძე, 1984: 262).

აქ ერთი საკითხია. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია ცნობილი, ჩერქეზიშვილები ირლანდიელ ანარქისტს ნანი დრაიჰორსტს ნოემბერში შეხვდნენ. ვფიქრობთ, ეს შეხვედრა ნოემბრის მეორე ნახევარში უნდა შემდგარიყო და არა თვის დასაწყისში, იქედან გამომდინარე, რომ ფრიდას წერილებიდან ირკვევა, ისინი ნოემბრის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ მოგზურობდნენ რუსეთის იმპერიაში. ჩერქეზიშვილისა და მისი მეგობრების ინიციატივით უკვე ჩამოყალიბებული იყო საქართველოს დამხმარე კომიტეტი. ნენი დრაიჰორსტის არქივში არსებული მასალის მიხედვით, დრაიჰორსტს ქართველებისთვის ქართველების დამხმარე კომიტეტის საშუალებით შეგროვებული 100 ფუნტი ჩამოუტანია (John, 2006: 222).

ჩვენ ზემოთ ვახსენეთ, რომ ქართული ისტორიოგრაფია კარგად იცნობს 1906 წლის ნევინსონისა და დრაიჰორსტის ვიზიტს საქართველოში და 1907 წელს ჰააგაში წარდგენილ მემორანდუმს, ამიტომ მხოლოდ იმ დეტალებს შევეხებით, რომელიც ნაკლებად გაშუქებულია. მათ საქართველოს სხვადასხვა მხარე მოიარეს, დაათვალიერეს და შთაბეჭდილებები მთელი ცხოვრება გაყვათ, ჩერქეზიშვილს 1918 წელს დაბეჭდილ მოგონებებში ვიზიტი დეტალურად აქვს მოთხრობილი. იგი წერს, რომ სიღნაღში ჰენრი ნევინსონთან ერთად სტუმრობისას ექიმ ჯანდიერის სახლში სარეკომენდაციო წერილით იყვნენ მისული. მიუხედავად იმისა, რომ სახელს არ აზუსტებს, თავისთავად ცხადია, აქ საუბარია ექიმ ნიკო ჯანდიერზე. ნიკო ჯანდიერი ილია ჭავჭავაძის პირადი ექიმი იყო. ჯერჯერობით მტკიცებულებები არ გვაქვს, თუმცა სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია, ამ სარეკომენდაციო წერილის ავტორი ილია ჭავჭავაძე იყოს. ასევე ჩერქეზიშვილი წერს, რომ თელავში სტუმრობისას ისინი ექიმ ახვლედიანს ეწვიენ. ეს ექიმი, ეჭვს არ იწვევს, რომ სამხედრო ექიმი დიმიტრი ახვლედიანია. როგორც ჩერქეზიშვილი ყვება, ბრიტანელ სტუმრებთან ერთად შეხვედრებზე დადიოდა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში. როგორც ჩანს, დრაიჰორსტი საქართველომ იმდენად გაიტაცა, რომ მან ქართულის სწავლაც კი სცადა (John, 2006: 72).

მათი თავდაუზოგავი მცდელობის მიუხედავად, ჰააგის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს საკითხი არ განხილულა. მიუხედავად ამისა, როგორც დიმიტრი შველიძე წერს, საქართველოს შესახებ მთელმა მსოფლიომ გაიგო. ისინი არც შემდგომ წლებში წყვეტდნენ ბრძოლას: მაგალითად, 1910 წლის ლონდონის კონფერენციაზე ჩერქეზიშვილთან და მიხაკო წერეთელთან ერთად, ნანი დრაიჰორსტიც იყო და საქართველოს მხარდასაჭერი სიტყვა წარმოთქვა.

1906 წელს შექმნილი ქართველთა დამხმარე კომიტეტი 1921 წლის ოკუპაციის შემდეგ კიდევ ერთხელ აღდგა: დრაიჰორსტის არქივში ნანახი მასალის მიხედვით, კომიტეტის მიზანი იყო: დახმარებოდა საქართველოს ებრძოლა დამოუკიდებლობისთვის მანამ, სანამ ცივილიზებული მსოფლიო აიძულებდა რუსეთს, საქართველოდან გაეყვანა საოკუპაციო ჯარები.

ხელს აწერდნენ საქართველოს და თავმჯდომარე მორისი, თავმჯდომარის მოადგილე ელის რობერტი და მდივანი დრაიჰორსტი.[5]

1923 წელს „მანჩესტერ გარდიანი“ წერდა, რომ 23 მაისს ლონდონის ქართველთა საზოგადოების ორგანიზებით წმინდა სოფიას ბერძნულ ეკლესიაში ჩეკას მიერ დახვრეტილი თხუთმეტი ოფიცრის მოსახსენიებელი წირვა აღევლინა. გაზეთი წერდა: ჰენრი ნევინსონის წერილის მიხედვით ვიგებთ, რომ დახვრეტილებს შორის არის გენერალი კოტეაფხაზი. ქართველი თავადების მარშალი. მასთან ერთად დახვრიტეს სამი სხვა გენერალი, ოთხი პოლკოვნიკი და სხვადასხვა რანგის ოფიცერი. წირვას ქართული მხრიდან ესწრებოდნენ: სხვებს შორის: ჩხენკელი, ნიკოლაძე, მისტერ და მისის ჩერქეზოვები, ხოლო ბრიტანული მხრიდან: პოლკოვნიკი სტოქსი, ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი. მისტერ თომას უორდროპი, ოლივერ უორდროპი, მისტერალენი, ჰენრი ნევინსონი და ნანი დრაიჰორსტი. გაზეთი ხაზს უსვამდა, რომ ამ უკანასკნელმა წარსულში ცარიზმის წინააღმდეგ აჯანყების დროს საქართველოსთვის ბევრი რამე გააკეთა და რომ იგი წარმოადგენდა საქართველოს დამხმარე კომიტეტს (Manchester Guardian..1923 10. 06: 10).

გამოყენებული ლიტერატურა:

გოგებაშვილი (1989): იაკობ გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, ტომი III, თბილისი;

მახარაძე, ხეცურიანი (2012): ირაკლი მახარაძე, ლაშა ხეცურიანი, ტერორ-ისტები, თბილისი;

რამიშვილი (2012): ისიდორე რამიშვილი, მოგონებები, თბილისი;

შველიძე (2001): დიმიტრი შველიძე, აი, ვინ იყო ქართველნო ვარლამ ჩერ-ქეზიშვილი, თბილისი;

შველიძე (2019): დიმიტრი შველიძე, საქართველოს ისტორიის ინსტიტუ-ტის შრომები, ტომი მეთხუთმეტე, თბილისი;

შარაძე (1984): გურამ შარაძე, ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე, თბ;

ჩახვაშვილი (1955): ნ. ჩახვაშვილი, ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვები და შეიარაღებული აჯანყება საქართველოში 1905 წელს.

[5]დუბლინის ბიბლიოთეკის მასალები: ნანი დრაიჰორსტის არქივი, Printed items concerning Nannie Dryhurst's political activity in relation to small nations, (ca. 1900-1907).

კრებული „1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში“, თბილისი;

ჯაგუნავა (2016): პავლე ჯაგუნავა, საქართველო და ქართველები XX საუკუნის დასაწყისის ამერიკული პრესის მიხედვით (1898-1910 წ.წ.), საბაკალავრო ნაშრომი, თბილისი;

Startt (1987): Startt James, The Evolution of an Anarchist: An Autobiographical Statement by Varlaam Tcherkesoff, 1846-1925, Vol. 10, No.2, University of Hawai'i Press;

Startt (1979): StarttJames, Journalisms unofficial ambassador, A biography of Edward pricebell, Athens;

Hamilton (2009): John Maxwell Hamilton, Journalism's roving eye: a history of American foreign reporting, Louisiana State University Press;

John (2006): Angela John**,** War, Journalism and the Shaping of the Twentieth Century, The Life and Times of Henry W. Nevinson;

Cornelissen (1993): Homme Wedman De Collectie Cornelissen/Chichery, Amsterdam International Institut voor Sociale Geschiedenis Groningen

Chicago Daily News (1902.23.1): Chicago Daily News.- Despotism in Russia, 23 january, 1902;

Chicago Daily News (1905.1.11): Chicago Daily News.- Banished Russians to Return, 1 November, 1905;

Chicago Daily News (1906. 2.02): Chicago Daily News.- Russian Party Lines, 2 February, 1906;

Chicago Daily News (1906. 8.05): Chicago Daily News.- Sad Scenes in Russia, 8 May, 1906;

Chicago Daily News (1906.6. 04): Chicago Daily News.- Call it a concession, 6 April, 1906;

Chicago Daily News (1906.10. 05): Chicago Daily News.- Butcheries in Tiflis, 10 May, 1906;

Chicago Daily News (1906.17. 05): Chicago Daily News.- Races Live in Peace, 17 May, 1906;

Manchester Guardian (1923 10. 06): Manchester Guardian**.-** Georgian Memorial Service, 10 June, 1923.

Кривенький (2000) Кривенький В.В. Анархисты Политические партии России: история и современность. М.: “Российская политическая энциклопедия, с. 210–226 http://grachev62.narod.ru/mnpt/chapt10.htm ბოლოს დამოწმებულია, 19.8.2020.